

2024

კომპანია:
შპს ჯი-ი-ეს

აუდიტორი: შპს
ქროუ ჯი

შპს ჯი-ი-ეს

**ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ ..	15
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	15
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16
7. მარაგები	16
8. ძირითადი საშუალებები	17
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	18
11. ამონაგები	18
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	19
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	19
14. სხვა ხარჯები	19
15. ფინანსური დანახარჯები	20
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	20
17. პირობითი აქტივები	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯი-ი-ეს-ის მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯი-ი-ეს-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 1 თებერვალს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტრეთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს ჯი-ი-ეს-ის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოდნენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თეიმურაზ ფარცხალაძე.

თეიმურაზ ფარცხალაძე
მმართველი პარტნიორი,
„შპს ქროუ ჯი“

აქსის ბიზნეს ცენტრი, მე4 სართული
დ. გამრეკელის ქ. 2, 0160 თბილისი, საქართველო
29 ივლისი 2024



შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	107,096	60,649
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,925,543	1,853,098
საგადასახადო აქტივები		415,060	446,760
მარაგები	7	444,572	510,820
სხვა მოკლევადიანი აქტივები		20,498	11,525
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,912,769	2,882,852
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	131,844	115,385
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,085	1,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		132,929	116,470
მთლიანი აქტივები		3,045,698	2,999,322
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	4,583,023	4,360,399
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	525,501	245,018
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		700,000	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,808,524	4,605,417
მთლიანი ვალდებულებები		5,808,524	4,605,417
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2,762,826)	(1,606,095)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,762,826)	(1,606,095)
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,045,698	2,999,322

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგაგაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	8,552,938	9,758,975
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(8,455,629)	(10,792,465)
საერთო მოგება		97,309	(1,033,490)
სხვა შემოსავლები		85,401	49,220
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(868,305)	(779,433)
სხვა ხარჯები	14	(395,653)	(63,153)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან - წმინდა		(679)	(21,840)
საოპერაციო მოგება		(1,081,927)	(1,848,696)
ფინანსური ხარჯი	15	(67,247)	(11,010)
მოგება დაბეგვრამდე		(1,149,174)	(1,859,706)
მოგების გადასახადი		(1,240)	(46,450)
წმინდა მოგება		(1,150,414)	(1,906,156)

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისის

ნიკოლოზ ჯანგაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	9,346,557	13,671,179
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	82,760	383,211
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(7,532,369)	(11,945,468)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(898,999)	(336,055)
გადახდილი სხვა გადასახადები	(1,093,280)	(1,447,141)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,240)	(46,450)
ფულადი სახსრების სხვა გასაღებები	(7,625)	(17,481)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(104,196)	261,795
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(55,913)	(93,704)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55,913)	(93,704)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების ზრდა	1,126,168	5,419,222
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(845,685)	(5,412,334)
გადახდილი პროცენტები	(67,247)	(11,010)
გადახდილი დივიდენდები	(6,000)	(251,436)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	207,236	(255,558)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	47,127	(87,467)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	60,649	169,431
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(680)	(21,315)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	107,096	60,649

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგავაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	564,730	564,730
წმინდა მოგება	(1,906,156)	(1,906,156)
გაცემული დივიდენდი	(264,669)	(264,669)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,606,095)	(1,606,095)
წმინდა მოგება	(1,150,414)	(1,150,414)
გაცემული დივიდენდი	(6,317)	(6,317)
2023 წლის 31 დეკემბერი	(2,762,826)	(2,762,826)

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგავაძე
დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს



თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-ი-ეს“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 21 მარტს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლამზირა ჩაჩანიძე 20%, ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30% და ნიკოლოზ ჯანგაგაძე 20%.

შპს „ჯი-ი-ეს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზსადენების და წყალსადენების ქსელის მოწყობა, მშენებლობა და რეაბილიტაცია. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 37/4, ბ. 34.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: 0177, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. 46.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი

თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	2-5
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	7-8

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო

ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე გაწვავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება

სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სამშენებლო ხელშეკრულებიდან ამონაგები აღიარებულია პროცენტული შესრულების მეთოდით, რომელიც თითოეული ხელშეკრულებისთვის განსაზღვრულია მოცემული თარიღისთვის გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯებისა და შეფასებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების თანაფარდობით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სახელშეკრულებო ამონაგები აღიარდება გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯების ოდენობით, რომელთა ანაზღაურებაც სავარაუდოა.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,433	36,460
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	105,663	24,029
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	160
სულ	107,096	60,649

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	7,815	1,688
საგარანტიო პასუხისმგებრობის ფარგლებში დროებით დაკავებული თანხებიდან მოთხოვნა	1,770,884	1,147,710
გადახდილი ავანსები	142,822	698,016
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	4,022	5,684
სულ	1,925,543	1,853,098

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას (2022 წელს 0 ლარი).

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული და მასალები	367,905	448,781
სათადარიგო ნაწილები	30,165	-
საწვავი	46,502	62,039
სულ	444,572	510,820

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,152,487 ლარი (2022 წელს 4,729,832 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

8. პირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება							
31 დეკემბერი 2022	9,052	130,020	20,808	32,616	7,698	-	200,194
შემოსვლა	-	35,636	-	5,858	1,297	13,122	55,913
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	9,052	165,656	20,808	38,474	8,995	13,122	256,107
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022	(632)	(56,783)	(13,752)	(10,695)	(2,947)	-	(84,809)
პერიოდის ამორტიზაცია	(905)	(27,254)	(2,352)	(6,361)	(1,698)	(884)	(39,454)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(1,537)	(84,037)	(16,104)	(17,056)	(4,645)	(884)	(124,263)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	8,420	73,237	7,056	21,921	4,751	-	115,385
31 დეკემბერი 2023	7,515	81,619	4,704	21,418	4,350	12,238	131,844

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,094,556	918,595
ქვეკონტრაქტორისთვის საგარანტის		
პასუხისმგებლობის ფარგლებში დაკავებული	-	236,480
თანხა		
მიღებული ავანსები	3,471,637	3,198,768
სხვა ვალდებულებები	16,830	6,556
სულ	4,583,023	4,360,399

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული		
ფინანსური ვალდებულებები	500,000	200,000
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	25,501	45,018
სულ	525,501	245,018

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5 - 15%, სესხების დაფარვის ვადა ნაკლებია 12 თვეზე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი ქონებით. აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით.

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
სახელმწიფოებო ამონაგები	8,552,938	9,758,975
სულ	8,552,938	9,758,975

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
გახარჯული მასალები	(4,158,892)	(4,682,856)
შრომის ანაზღაურება	(761,618)	(518,868)
საპროექტო მომსახურება	(3,613)	(1,809,755)
ტექნიკის იჯარა	(1,905,099)	(1,531,353)
ტექნიკის რემონტი	(83,992)	(137,129)
სხვა ხარჯები	(1,542,415)	(2,112,504)
სულ	(8,455,629)	(10,792,465)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	(583,220)	(508,038)
დამხმარე მასალები	(502)	(46,976)
საიჯარო ქირა	(62,178)	(32,387)
რემონტის ხარჯები	(11,411)	(6,627)
კომუნალური ხარჯები	(5,035)	(685)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,293)	-
კომპიუტერის ხარჯები	(5,273)	(5,272)
საკონსულტაციო მომსახურება	(36,850)	(17,526)
გარანტიის მომსახურების საკომისიო	(84,986)	(68,374)
ბანკის საკომისიო	(8,154)	(8,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	(39,454)	(29,989)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(29,949)	(54,980)
სულ	(868,305)	(779,433)

14. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ჯარიმები და სურავები	(393,697)	(57,329)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი	-	(293)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(1,956)	(5,531)
სულ	(395,653)	(63,153)

15. ფინანსური დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(67,247)	(11,010)
სულ ფინანსური დანახარჯები	(67,247)	(11,010)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლამზირა ჩაჩანიძე 20%,
ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30%, ნიკოლოზ ჯანგაძე 20%.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი
ქონებით, აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით. უზრუნველყოფის
სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სხვა დაკავშირებული მხარეები		
მომსახურების მიღება (ტექნიკის იჯარა (შენიშვნა 12))	476,221	545,847
დაუფარავი ნაშთები (სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 9))	278,583	244,000

სხვა დაკავშირებულ მხარეს აკონტროლებს კომპანიის დამფუძნებლები. დაკავშირებული
მხარისაგან ხდება სპეცტექნიკის იჯარით აღება. მომსახურების მიღება ხდება საბაზრო ფასად.
დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვის ვადა შეაგდენს მომსახურების
გაწევიდან 1 თვეს. ვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო
ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	45,018	46,579
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	66,168	154,259
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(85,685)	(155,820)
სულ დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:	25,501	45,018

სხვა დაკავშირებულ მხარისგან მიღებული სესხები:

საწყისი ნაშთი	-	-
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	118,264	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(118,264)	-
დარიცხული პროცენტი	5,942	-
გადახდილი პროცენტი	(5,942)	-
სულ დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:	-	-

კომპანიას დამფუძნებლებისგან მიღებული აქვს სესხები. სესხები დენომინირებულია ლარში და
არ ერიცხება პროცენტი. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კომპანიას სხვა დაკავშირებული მხარისგან (დამფუძნებლის ახლო ოჯახის წევრი) მიღებული აქვს სესხი. სესხი დენომინირებულია ლარში და ერიცხება წლიური 20%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	119,243.83	126,550
სულ	119,244	126,550

17. პირობითი აქტივები

2023 წელს საწარმომ ქვეკონტრაქტორთან გაწევიტა ხელშეკრულება, მის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის გამო. საწარმომ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ქვეკონტრაქტორს დააკისრა ჯარიმები. საწარმოს მიერ აღნიშნული მიჩნეულ იქნა პირობით აქტივად, ვიდრე არ მოხდება ქვეკონტრაქტორთან საბოლოო შეთანხმების მიღწევა. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაფარა ბანკის სესხი 500,000 ლარის ოდენობით და მოხდა ახალი საბანკო სესხის აღება 800,000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა მოხდა დამფუძნებლის სესხის დაფარვა 29,040 ლარის ოდენობით და ახალი სესხის აღება 18,540 ლარის ოდენობით.



2024

კომპანია:

შპს ჯი-ი-ეს

აუდიტორი: შპს

ქროუ ჯი

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ..	15
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	15
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	16
7. მარაგები	16
8. ძირითადი საშუალებები.....	17
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	18
11. ამონაგები	18
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	19
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	19
14. სხვა ხარჯები	19
15. ფინანსური დანახარჯები	20
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	20
17. პირობითი აქტივები	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯი-ი-ეს-ის მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯი-ი-ეს-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 1 თებერვალს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს ჯი-ი-ეს-ის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თეიმურაზ ფარცხალაძე.

თეიმურაზ ფარცხალაძე

მმართველი პარტნიორი,

„შპს ქროუ ჯი“

აქსის ბიზნეს ცენტრი, მე4 სართული

დ. გამრეკელის ქ. 2, 0160 თბილისი, საქართველო

29 ივლისი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	107,096	60,649
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,925,543	1,853,098
საგადასახადო აქტივები		415,060	446,760
მარაგები	7	444,572	510,820
სხვა მოკლევადიანი აქტივები		20,498	11,525
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,912,769	2,882,852
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	131,844	115,385
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,085	1,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		132,929	116,470
მთლიანი აქტივები		3,045,698	2,999,322
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	4,583,023	4,360,399
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	525,501	245,018
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		700,000	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,808,524	4,605,417
მთლიანი ვალდებულებები		5,808,524	4,605,417
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2,762,826)	(1,606,095)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,762,826)	(1,606,095)
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,045,698	2,999,322

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგავაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	8,552,938	9,758,975
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(8,455,629)	(10,792,465)
საერთო მოგება		97,309	(1,033,490)
სხვა შემოსავლები		85,401	49,220
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(868,305)	(779,433)
სხვა ხარჯები	14	(395,653)	(63,153)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან - წმინდა		(679)	(21,840)
საოპერაციო მოგება		(1,081,927)	(1,848,696)
ფინანსური ხარჯი	15	(67,247)	(11,010)
მოგება დაბეგვრამდე		(1,149,174)	(1,859,706)
მოგების გადასახადი		(1,240)	(46,450)
წმინდა მოგება		(1,150,414)	(1,906,156)

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგავაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	9,346,557	13,671,179
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	82,760	383,211
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(7,532,369)	(11,945,468)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(898,999)	(336,055)
გადახდილი სხვა გადასახადები	(1,093,280)	(1,447,141)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,240)	(46,450)
ფულადი სახსრების სხვა გასაღებები	(7,625)	(17,481)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(104,196)	261,795
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(55,913)	(93,704)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55,913)	(93,704)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	1,126,168	5,419,222
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(845,685)	(5,412,334)
გადახდილი პროცენტები	(67,247)	(11,010)
გადახდილი დივიდენდები	(6,000)	(251,436)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	207,236	(255,558)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	47,127	(87,467)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	60,649	169,431
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(680)	(21,315)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	107,096	60,649

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისის

ნიკოლოზ ჯანგავაძე

დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	564,730	564,730
წმინდა მოგება	(1,906,156)	(1,906,156)
გაცემული დივიდენდი	(264,669)	(264,669)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,606,095)	(1,606,095)
წმინდა მოგება	(1,150,414)	(1,150,414)
გაცემული დივიდენდი	(6,317)	(6,317)
2023 წლის 31 დეკემბერი	(2,762,826)	(2,762,826)

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს

ნიკოლოზ ჯანგავაძე
დირექტორი, შპს ჯი-ი-ეს

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-ი-ეს“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 21 მარტს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლაშხირა ჩაჩანიძე 20%, ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30% და ნიკოლოზ ჯანგაგაძე 20%.

შპს „ჯი-ი-ეს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზსადენების და წყალსადენების ქსელის მოწყობა, მშენებლობა და რეაბილიტაცია. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 37/4, ბ. 34.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: 0177, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. 46.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 29 ივლისს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი

თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	2-5
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	7-8

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო

ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება

სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან ამონაგები აღიარებულია პროცენტული შესრულების მეთოდით, რომელიც თითოეული ხელშეკრულებისთვის განსაზღვრულია მოცემული თარიღისთვის გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯებისა და შეფასებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების თანაფარდობით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სახელშეკრულებო ამონაგები აღიარდება გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯების ოდენობით, რომელთა ანაზღაურებაც სავარაუდოა.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,433	36,460
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	105,663	24,029
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	160
სულ	107,096	60,649

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	7,815	1,688
საგარანტიო პასუხისმგებლობის ფარგლებში დროებით დაკავებული თანხებიდან მოთხოვნა	1,770,884	1,147,710
გადახდილი ავანსები	142,822	698,016
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	4,022	5,684
სულ	1,925,543	1,853,098

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას (2022 წელს 0 ლარი).

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული და მასალები	367,905	448,781
სათადარიგო ნაწილები	30,165	-
საწვავი	46,502	62,039
სულ	444,572	510,820

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,152,487 ლარი (2022 წელს 4,729,832 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება							
31 დეკემბერი 2022	9,052	130,020	20,808	32,616	7,698	-	200,194
შემოსვლა	-	35,636	-	5,858	1,297	13,122	55,913
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	9,052	165,656	20,808	38,474	8,995	13,122	256,107
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022	(632)	(56,783)	(13,752)	(10,695)	(2,947)	-	(84,809)
პერიოდის ამორტიზაცია	(905)	(27,254)	(2,352)	(6,361)	(1,698)	(884)	(39,454)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(1,537)	(84,037)	(16,104)	(17,056)	(4,645)	(884)	(124,263)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	8,420	73,237	7,056	21,921	4,751	-	115,385
31 დეკემბერი 2023	7,515	81,619	4,704	21,418	4,350	12,238	131,844

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,094,556	918,595
ქვეკონტრაქტორისთვის საგარანტის პასუხისმგებლობის ფარგლებში დაკავებული თანხა	-	236,480
მიღებული ავანსები	3,471,637	3,198,768
სხვა ვალდებულებები	16,830	6,556
სულ	4,583,023	4,360,399

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	500,000	200,000
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	25,501	45,018
სულ	525,501	245,018

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5 - 15%, სესხების დაფარვის ვადა ნაკლებია 12 თვეზე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი ქონებით. აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით.

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
სახელშეკრულებო ამონაგები	8,552,938	9,758,975
სულ	8,552,938	9,758,975

12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
გახარჯული მასალები	(4,158,892)	(4,682,856)
შრომის ანაზღაურება	(761,618)	(518,868)
საპროექტო მომსახურება	(3,613)	(1,809,755)
ტექნიკის იჯარა	(1,905,099)	(1,531,353)
ტექნიკის რემონტი	(83,992)	(137,129)
სხვა ხარჯები	(1,542,415)	(2,112,504)
სულ	(8,455,629)	(10,792,465)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	(583,220)	(508,038)
დამხმარე მასალები	(502)	(46,976)
საიჯარო ქირა	(62,178)	(32,387)
რემონტის ხარჯები	(11,411)	(6,627)
კომუნალური ხარჯები	(5,035)	(685)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,293)	-
კომპიუტერის ხარჯები	(5,273)	(5,272)
საკონსულტაციო მომსახურება	(36,850)	(17,526)
გარანტიის მომსახურების საკომისიო	(84,986)	(68,374)
ბანკის საკომისიო	(8,154)	(8,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	(39,454)	(29,989)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(29,949)	(54,980)
სულ	(868,305)	(779,433)

14. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ჯარიმები და სურავები	(393,697)	(57,329)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი	-	(293)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(1,956)	(5,531)
სულ	(395,653)	(63,153)

15. ფინანსური დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(67,247)	(11,010)
სულ ფინანსური დანახარჯები	(67,247)	(11,010)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლამზირა ჩაჩანიძე 20%, ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30%, ნიკოლოზ ჯანგაძე 20%.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი ქონებით, აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სხვა დაკავშირებული მხარეები		
მომსახურების მიღება (ტექნიკის იჯარა (შენიშვნა 12))	476,221	545,847
დაუფარავი ნაშთები (სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 9))	278,583	244,000

სხვა დაკავშირებულ მხარეს აკონტროლებს კომპანიის დამფუძნებლები. დაკავშირებული მხარისაგან ხდება სპეცტექნიკის იჯარით აღება. მომსახურების მიღება ხდება საბაზრო ფასად. დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვის ვადა შეაგდენს მომსახურების გაწევიდან 1 თვეს. ვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	45,018	46,579
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	66,168	154,259
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(85,685)	(155,820)
სულ დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:	25,501	45,018

სხვა დაკავშირებულ მხარისგან მიღებული სესხი:

საწყისი ნაშთი	-	-
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	118,264	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(118,264)	-
დარიცხული პროცენტი	5,942	-
გადახდილი პროცენტი	(5,942)	-
სულ დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:	-	-

კომპანიას დამფუძნებლებისგან მიღებული აქვს სესხები. სესხები დენომინირებულია ლარში და არ ერიცხება პროცენტი. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

შპს ჯი-ი-ეს

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კომპანიას სხვა დაკავშირებული მხარისგან (დამფუძნებლის ახლო ოჯახის წევრი) მიღებული აქვს სესხი. სესხი დენომინირებულია ლარში და ერიცხება წლიური 20%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	119,243.83	126,550
სულ	119,244	126,550

17. პირობითი აქტივები

2023 წელს საწარმომ ქვეკონტრაქტორთან გაწყვიტა ხელშეკრულება, მის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის გამო. საწარმომ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ქვეკონტრაქტორს დააკისრა ჯარიმები. საწარმოს მიერ აღნიშნული მიჩნეულ იქნა პირობით აქტივად, ვიდრე არ მოხდება ქვეკონტრაქტორთან საბოლოო შეთანხმების მიღწევა. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაფარა ბანკის სესხი 500,000 ლარის ოდენობით და მოხდა ახალი საბანკო სესხის აღება 800,000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა მოხდა დამფუძნებლის სესხის დაფარვა 29,040 ლარის ოდენობით და ახალი სესხის აღება 18,540 ლარის ოდენობით.